

სამტრედია
#მეტისუფთაგარემო



*სამტრედიის მუნიციპალიტეტის
ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმა*

2018-2022 წ

(სამუშაო ვარიანტი)

6.12.17 წ. მდგომარეობით

შინაარსი

1.	შესავალი.....	4
1.1	ტერმინთაგანმარტება.....	7
1.2	საქართველოში ნარჩენების მარეგულირებელის აკანონმდებლო აქტები	9
2.	არსებული მდგომარეობა.....	9
2.1	გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივ-კლიმატური პირობები	9
2.2	დემოგრაფია და დემოგრაფიული დინამიკა	10
2.3	მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა და ეკონომიკა	13
2.4	ნარჩენების რაოდენობა.....	16
2.5	2016 წელს შეგროვებული მუნიციპალური ნარჩენების სტრუქტურა.....	17
2.6	ბიოდეგრადირებადი ნარჩენები	19
2.7	ინერტული ნარჩენები.....	19
2.8	სახიფათო ნარჩენები	20
2.9	მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სისტემები და საშუალებები	20
2.10	ნარჩენების დამუშავება და აღდგენა	24
2.11	მუნიციპალური ნაგავსაყრელი	24
2.12	სტიქიური ნაგავსაყრელები	24
2.13	ხარჯები	25
2.14	დასუფთავების მოსაკრებელი	29
2.15	ნარჩენების მართვის სისტემის SWOT ანალიზი	31
2.16	საჯარო ცნობიერება და საზოგადოების ჩართულობა.....	32
2.17	მუნიციპალური ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის პრობლემების იდენტიფიკაცია .	36
3.	საპროგნოზო მაჩვენებლები (დაგეგმარება)	38
4.	ნარჩენების შეგროვება და განთავსება	40
4.1	მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სისტემა ქალაქის ადადაბის ტერიტორიაზე	40
4.2	მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების ტექნიკურის საშუალებები ქალაქის ადადაბის ტერიტორიაზე.....	41
4.3	მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სისტემასოფლების ტერიტორიაზე.....	42
4.4	მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების ტექნიკურის საშუალებების სოფლების ტერიტორიაზე	42


4.5	მუნიციპალური ნარჩენების განთავსება	43
4.6	ბიოდეგრადირებადი ნარჩენების შეგროვება და განთავსება	43
4.7	სახიფათო ნარჩენების შეგროვება და განთავსება	44
4.8	სამშენებლო ნარჩენების შეგროვება და განთავსება	45
4.9	მუნიციპალური ნარჩენების სეპარირებული შეგროვება და რეციკლირება	45
4.10	სტიქიური ნაგავსაყრელები	46
4.11	შესაძენი ტექნიკური საშუალებები წლების მიხედვით	47
5.	ცნობიერების ამაღლება	47
6.	ხარჯები და შემოსავლები	49
6.1	საინვესტიციო დანახარჯები წლების მიხედვით	49
6.2	ნარჩენების შეგროვების ადაგატანის ხარჯები	49
6.3	ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებისათვის საჭირო ხარჯები	50
6.4	ბილინგის ხარჯები	50
6.5	ნარჩენების მართვის მომსახურებასთან დაკავშირებული საერთო ხარჯები	51
შენიშვნა: 2018 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი გათვლილია მთელი წლის სრულ მომსახურებაზე, რომელიც განხორციელდება დამატებითი ურნების შექმნის შემდეგ.....		
6.6	საპროგნოზო დანახარჯი ერთ სულ მოსახლეზე 2018-2022	51
6.7	შემოსავლები (მოსაკრებლებიდან)	52
7.	საჯარო განხილვა	53
დანართები		54

სამტრედიის მუნიციპალური ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმა შემუშავებულია ქუთაისის მყარ ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტის ფარგლებში და ხორციელდება PE M GmbH-ის, Intecus-სადაშ.პ.ს. „გამა კონსალტინგი“-ს, დახმარებით, საქართველოს მყარ ნარჩენების მართვის კომპანიასთან და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით.

1. შესავალი

სამტრედიის მუნიციპალიტეტში ისევე როგორც მთლიანად ქვეყანაში მუნიციპალური ნარჩენების ეფექტური მართვა დიდი ხანია პრობლემას წარმოადგენს როგორც ნარჩენებთან დაკავშირებული მომსახურებების არასაკმარისი ხარისხისა და დაფარვის, ისე ზემოაღნიშნულის შედეგად ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების თვალსაზრისით. შეზღუდული ფინანსური რესურსების გამო ვერ ხერხდება, ნარჩენების მართვის ეფექტიანი მომსახურებები. მუნიციპალიტეტის ურბანულ დასახლებებში ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული მომსახურებები გარკვეული დოზით მაინც არსებობს, მუნიციპალიტეტის სოფლების უმრავლესობასაერთოდ მოკლებულია აღნიშნულ მომსახურებას. მუნიციპალიტეტები ვალდებული არიან შეიმუშაონ ნარჩენების მართვის 5 წლიანი სამოქმედო გეგმა (ნარჩენების მართვის კოდექსის 13-ე მუხლი) რომლის მიზანსაც წარმოადგენს ეროვნული საკანონმდებლობა ბაზის მოთხოვნების დაკმაყოფილება და გარემოს დაცვის კუთხით ევროკავშირში მიღებულ სტანდარტებთან დაახლოვება

დიაგრამა 1.1. ნარჩენების სამოქმედო გეგმის იერარქია



გეგმის მოქმედების სფერო

აღნიშნულ გეგმაში მიმოხილულია მუნიციპალური ნარჩენები; საყოფაცხოვრებო და ინერტული ნარჩენები. გეგმაში მიუხედავად იმისა, რომ სახიფათო ნარჩენები მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას არ განეკუთვნება, საჭიროებიდან გამომდინარე გეგმაში ყურადღება გამახვილებულია აღნიშნულ საკითხზეც, ისევე როგორც ცხოველურ ნარჩენებზე.

ნარჩენების მართვის სფეროში მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობა


საქართველოში ნარჩენებისმართვაზე მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობას წარმოადგენს მუნიციპალური ნარჩენების მართვა რომელიც მოიცავს:


• მუნიციპალური ნარჩენების მართვა:
➤ მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება და შესაბამისისისტემის შექმნა/დანერგვა
➤ მუნიციპალური ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემის ეტაპობრივი დანერგვა
➤ მუნიციპალური ნარჩენების წინასწარი დამუშავება და აღდგენა, მათ შორის რეციკლირება
➤ მუნიციპალური ნარჩენების ტრანსპორტირება ნაგავსაყრელამდე ან ნაგავგადამტვრით სადგურამდე
➤ მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება/დაბინძურებაზე კონტროლის განხორციელება
➤ მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია მოთხოვოს დამნაგვიანებელს ტერიტორიის დასუფთავება; ასევე დასუფთავების ვალდებულება (გონივრული ვადის მითითებით) დააკისროს ტერიტორიის მფლობელს; თუ დანაგვიანებული ტერიტორია მუნიციპალიტეტის საკუთრებაა, მუნიციპალიტეტმა თავად უნდა იზრუნოს ტერიტორიის დასუფთავებაზე

გეგმის შედგენისა და დაგეგმვის პროცესი

სამტრედიის მუნიციპალური ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმა მუშავდება „სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმის შემუშავებელი სამუშაო ჯგუფის“ მიერ(დანართი1),ადგილობრივი საზოგადოების, კერძო და საჯარო სექტორების ჩართულობით ქუთაისისმყარინარჩენებისინტეგრირებულიმართვისპროექტის დიდი დახმარებით გამოყენებულია მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის სახელმძღვანელო(მომზადებული ICM -სა CENN -ის მიერ, 30იანვარი 2015წ)

დიაგრამა 1.2. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების პროცესი





მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავებელი სამუშაო ჯგუფი მომავალ წლებში განაგრძობს მუშაობას გეგმის განვითარებისათვის.

ნარჩენების ეროვნული სტრატეგია და მიზნები

საქართველოს ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია შემუშავებულია ნარჩენების მართვის კოდექსისა და ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული დირექტივების მოთხოვნების შესაბამისად.

საქართველოს ნარჩენების მართვის პირველი ეროვნული სტრატეგის მოიცავს 15 წლიან პერიოდს (2016-2030 წწ.).

სტრატეგიის შესაბამისად საქართველოში ნარჩენების მართვის ხედვაა „საქართველო ისწრაფვის გახდეს ნარჩენების პრევენციასა და რეციკლირებაზე ორიენტირებული ქვეყანა“, რაც მიიღწევა:

- ნარჩენების პრევენციის, ხელახალი გამოყენების, რეციკლირებისა და აღდგენის ღონისძიებების გატარებით
- ნარჩენების წარმოქმნის წყაროსთან სეპარირების დანერგვით
- ხარჯების სრული ამოღების დანერგვით
- მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების დანერგვით
- ინიციატივების განხორციელებით სპეციფიკური ნარჩენების ნაკადებზე საჯარო-კერძო პარტნიორობის ჩამოყალიბებით
- სტრატეგიის მიზნების მისაღწევად საჭირო წამახალისებელი მექანიზმების დანერგვით.

ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებისა და დანერგვის მიმართულებით ეროვნული სტრატეგიაში დასახულია ნარჩენების შეგროვების შემდეგი მინიმალური მაჩვენებლების მიღწევა:

	2020	2025	2030
	წლისთვის	წლისთვის	წლისთვის
მუნიციპალური ნარჩენები	90%	100%	100%
სახიფათო ნარჩენები	70%	100%	100%

სტრატეგია ითვალისწინებს შესაძლებლობების ფარგლებში ნარჩენების პრევენციას, ხელახალ გამოყენებას, რეციკლირებას ან/და აღდგენას. ერთ-ერთ მთავარ ამოცანას ამ მიზნის

მისაღწევად წარმოადგენს ქაღალდის, პლასტიკის, მინისა და მეტალის წარმოშობის წყაროსთან სეპარირების სისტემის დაწყება 2019 წლისთვის.

ნარჩენების ეროვნული სტრატეგიაში დასახულია რეციკლირების შემდეგი მინიმალური მაჩვენებლებლების ეტაპობრივი მიღწევა:

	2020 წ	2025 წ	2030 წ
ქაღალდი	30%	50%	80%
მინა	20%	50%	80%
მეტალი	70%	80%	90%
პლასტიკი	30%	50%	80%

მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის ძირითადი მიზნები

1. მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების მომსახურების მიტანა მუნიციპალიტეტის ყველა მაცხოვრებელამდე.
2. ნარჩენების შემცირებასეპარირებული შეგროვებისა დაკომპოსტირების საშუალებით.
3. არალეგალური ნაგავსაყრელების პრობლემის მოგვარება.
4. მუნიციპალიტეტში, ცნობიერების ამაღლების რეგულარული კამპანიის ჩატარება და მოსახლეობის ინფორმირებულება მყარი ნარჩენების მართვის არსებული სისტემების და შემდგომი ღონისძიებების შესახებ.
5. მოსაკრებლის დაწესება, დამზინძურებელი იხდის პრინციპით.

1.1 ტერმინთა განმარტება

ნარჩენები - ნებისმიერი ნივთიერება ან ნივთი, რომელსაც მფლობელი იშორებს, განზრახული აქვს მოიშოროს ან ვალდებულია მოიშოროს.

საყოფაცხოვრებო ნარჩენები - საოჯახო მეურნეობის მიერ წარმოქმნილი ნარჩენები.

მუნიციპალური ნარჩენები - საყოფაცხოვრებო ნარჩენები, აგრეთვე სხვა ნარჩენები, რომლებიც თავისი მახასიათებლებისა და შემადგენლობის მიხედვით საყოფაცხოვრებო ნარჩენების მსგავსია.

ბიოდეგრადირებადი ნარჩენები - ნებისმიერი სახის ნარჩენები, რომლებიც ექვემდებარებიან ანაერობულ ან აერობულ დაშლას, მათ შორის, სურსათის/ცხოველის საკვების ნარჩენები, ბაღების/პარკების ნარჩენები, ქაღალდი და მუყაო.

სახიფათო ნარჩენები - ნარჩენები, რომლებიც სახიფათო ან პოტენციურად მავნე ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან გარემოსათვის (სახიფათო ნარჩენების სია მოცემულია საქართველოს კანონის “ნარჩენების მართვის კოდექსი” მესამე დანართში).

სამედიცინო ნარჩენები - ნებისმიერი ნარჩენი, რომელიც სამედიცინო დაწესებულებების,

სამედიცინო ლაბორატორიების, სამედიცინო კვლევითი ცენტრების, მზრუნველობის დაწესებულებების, ვეტერინარული კლინიკების, ფარმაცევტული საწარმოებისა და საწყობების მიერ არის წარმოქმნილი.

ცხოველური ნარჩენები – ცხოველებთან დაკავშირებული ნარჩენები (ცხოველების სხეულები, ცხოველების სხეულის ნაწილები, ნაკელი, ხორცის წარმოების ნარჩენები, ცხოველებზე ცდების ჩატარების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები და სხვ.).

პრევენცია - ნივთიერების, მასალის ან პროდუქტის ნარჩენად გადაქცევამდე მიღებული ზომები, რაც ამცირებს: ა) ნარჩენის რაოდენობას, (მაგალითად, პროდუქტის ხელახალი გამოყენების გზით ან პროდუქტის ვარგისიანობის ვადის გაგრძელების გზით); ბ) წარმოქმნილი ნარჩენების უარყოფით გავლენას გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე; გ) მასალებსა და პროდუქტში მავნე ნივთიერებების შემცველობას.

ხელახალი გამოყენება - პროდუქტის ან/და მისი კომპონენტების ხელახლა გამოყენება ნარჩენად გადაქცევამდე, მათი თავდაპირველი დანიშნულებით.

აღდგენა - საქმიანობა, რომლის ძირითადი შედეგია ნარჩენების გამოყენება სასარგებლო მიზნებისათვის, იმ მასალების ჩანაცვლების გზით, რომლებიც სხვა პირობებში რაიმე ფუნქციის შესასრულებლად იქნებოდა გამოყენებული. აღდგენა მოიცავს ენერჯის აღდგენას და რეციკლირებას. (აღდგენის ოპერაციების სია მოცემულია საქართველოს კანონის “ნარჩენების მართვის კოდექსი” პირველ დანართში).

რეციკლირება- აღდგენითი ღონისძიება, რომლის საშუალებითაც ნარჩენები გარდაიქმნება პროდუქტად, მასალად ან ნივთიერებად, რომლებიც განკუთვნილია თავდაპირველი ან სხვა მიზნით გამოყენებისთვის. რეციკლირება მოიცავს ორგანული მასალების გადამუშავებას, მაგრამ არ მოიცავს ენერჯის აღდგენას და ისეთ მასალებად გარდაქმნას, რომლებიც გამოიყენება საწვავად ან ამოვსების ოპერაციებისთვის.

რეციკლირებადი მასალები - გავრცელებული რეციკლირებადი მასალებია მინა, ქაღალდი, მუყაო, მეტალი, პლასტიკი, ქსოვილი, საკვების ნარჩენები, ბალის ნარჩენები და ელექტრონული მოწყობილობები.

ნარჩენების შეგროვება - ნარჩენების შეგროვება, რაც ასევე მოიცავს მათ წინასწარ დახარისხებას და წინასწარ დასაწყობებას ნარჩენების დამუშავების ობიექტზე გადატანის მიზნით.

სეპარირებული შეგროვება - ნარჩენების შეგროვება, რომლის დროსაც ნარჩენების ნაკადები განცალკევებულია სახეობების და თვისებების მიხედვით, მათი შემდგომი დამუშავების ხელშეწყობის მიზნით.

ნარჩენების ტრანსპორტირება - ნარჩენების გადატანა ნარჩენების შენახვის ან/და დამუშავების ობიექტზე; ნარჩენების გადამტვირთი სადგური - ობიექტი, სადაც ხორციელდება ნარჩენების გადატვირთვა ნარჩენების დამუშავების ობიექტზე შემდგომი ტრანსპორტირების მიზნით.

სანიტარიული ნაგავსაყრელი - მუნიციპალური ნარჩენების კონტროლირებადი განთავსება მიწაში, რომელიც გამორიცხავს ნებისმიერ პოტენციურ ნეგატიურ ემისიებს ზედაპირულ წყლებში, მიწისქვეშა წყლებში, ნიადაგში ან ჰაერში. დანაგვიანება - ნარჩენების გარემოში დაყრა, გადაგდება და/ან მიტოვება, გარდა ამ მიზნისთვის გამოყოფილი კონტეინერებისა და შეგროვების ობიექტებისა.

დაინტერესებული მხარე - პირი, ჯგუფი, დაწესებულება ან ორგანიზაცია, რომელსაც პირდაპირი ან არაპირდაპირი კავშირი გააჩნია ქმედებასთან ან პროექტთან ან რომელსაც გააჩნია შესაძლებლობა დადებითი ან ნეგატიური გავლენა მოახდინოს ქმედებაზე ან პროექტზე.

გადახდის მზაობა - მაქსიმალური საფასური, რომელიც პირმა შეიძლება გაიღოს კარგი შედეგის შესაძენად ან არასასურველი შედეგის თავიდან ასარიდებლად.

1.2 საქართველოში ნარჩენების მარეგულირებელისაკანონმდებლო აქტები

- საქართველოს კონსტიტუცია,
- საქართველოს "ნარჩენების მართვის კოდი"
- "გარემოს დაცვითი მიმართულებების შესახებ" საქართველოს კანონი;
- "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს კანონი;
- "ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ" საქართველოს კანონი;
- საქართველოს კანონი "გარემოზე ზემოქმედების" შესახებ;
- "ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონი;
- კანონი "საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ"

ასევე, საქართველოს მთავრობის განკარგულებაში:

- "ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია 2016-2030" და "2016-2020 ეროვნული სამოქმედო გეგმა" (განკარგულება №160, 01.04.2016);
- ტექნიკური რეგლამენტი "მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების ადამკურნალობის წესები" (განკარგულება №159, 01.04.2016)
- ტექნიკური რეგლამენტი "საშიშინარჩენების შეგროვების ადამკურნალობის სპეციალური მოთხოვნები" (განკარგულება №145, 20.03.2016);
- "ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი მოპყრობის და დროებითი შენახვის რეგისტრაციის პროცედურები და პირობები" (განკარგულება №144, 29.03.2016);
- ტექნიკური რეგლამენტი "ნარჩენების ტრანსპორტირების წესები" (განკარგულება №143, 29.03.2016).

2. არსებული მდგომარეობა

2.1 გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივ-კლიმატური პირობები

სამტრედიის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, იმერეთის რეგიონის დასვლეთ ნაწილში და ესაზღვრება აბაშის, ლანჩხუთის, ვანის, ხონის, წყალტუბოს და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებს. მისი ძირითადი ნაწილი კოლხეთის დაბლობზეა განლაგებული, ხოლო მცირე ნაწილი საჯავახოს ზეგანზეა შეფენილი, სადაც ძირითადად მთიანი სოფლებია განლაგებული. სამტრედიის მუნიციპალიტეტში, ქალაქ სამტრედიიდან 11 კილომეტრში მდებარეობს დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი.

მუნიციპალიტეტი სამტრედია

რეგიონი	იმერეთი
ფართობი	36 429 ჰა
სასოფლო	20400 ჰა (56%)
არასასოფლო	16000 ჰა (44%)

ურბანული	4 059,49 ჰა
არაურბანული	32 369,51 ჰა
ნალექების	1500-1600მმ
საშუალო რაოდ.	
ჰაერის საშ.	14°C
ტემპერატურა	




კლიმატური პირობები

სამტრედიის მუნიციპალიტეტი ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ზონაში ხვდება. ზამთარი აქ ხანმოკლე, თბილი და წვიმიანი იცის, ზაფხული კი - ხანგრძლივი, ტენიანი და საკმაოდ ცხელი. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 14°C-ია. წლის ყველაზე ცივი თვის, იანვრის, საშუალო ტემპერატურა +5°C-ია, ხოლო ყველაზე ცხელი თვის, ივლისის - +25°C. ნალექების საშუალო რაოდენობა შეადგენს 1 500 - 1 600 მმ-სწელიწადში. ნალექების მაქსიმალური რაოდენობა ოქტომბერ-დეკემბერში ფიქსირდება და შეადგენს 160 მმ.-ს, მინიმალური კი მაისში მოდის (20 მმ). ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობაა - 85%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2000-2100 საათი.

2.2 დემოგრაფია და დემოგრაფიული დინამიკა

სამტრედიის მუნიციპალიტეტი დაყოფილია 15 ადმინისტრაციული ერთეულად. მუნიციპალიტეტში 56 დასახლებაა, მათ შორის ერთი ქალაქი, ერთი დაბა და 54 სოფელი, საიდანაც 27 მაღალმთიანი (არ სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მაღალმთიანი დასახლების სტატუსით) სოფელია. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი სამტრედია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით 2015 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტში 48,6 ათასი ადამიანი ცხოვრობს, საქალაქო დასახლებებში სულ ცხოვრობს 27,0 ათასი ადამიანი (მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 55,6%) ხოლო სასოფლო დასახლებაში ცხოვრობს 21,6 ათასი ადამიანი (მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 44,4%). 2002 წლის აღწერასთან შედარებით სამტრედიის მუნიციპალიტეტში მოსახლეობა 19%-ით არის შემცირებული. მოსახლეობის კლება ქალაქად შეადგენდა 14%-ს, ხოლო სოფლად - 25%-ს მოსახლეობის სიმჭიდროვე სამტრედიის მუნიციპალიტეტში 133 კაცია კვ.კმ-ზე. სამტრედია იმერეთის ყველაზე ურბანიზებული მუნიციპალიტეტია, ქუთაისის მუნიციპალიტეტის შემდეგ და ყველაზე ურბანიზებული სათემო მუნიციპალიტეტი საქართველოში ბორჯომის (ურბანიზაციის პროცენტი 60) და ხაშურის მუნიციპალიტეტების (ურბანიზაციის პროცენტი 64) შემდეგ.


დიაგრამა 2.4.1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობა წლების მიხედვით



წყარო:საქსტატი

შენიშვნა: დიაგრამა შედგენილია საქსტატის 2002 და 2014 წლების საყოველთაო აღწერის მიხედვით

დიაგრამა 2.4.2. გარდაცვალების და შობადობის მაჩვენებელი 2013-2016 წწ.




წყარო: სამოქალაქო რეესტრი

სოციალური მდგომარეობა

სოციალურდახმარებისმიმღები2016 წლის მონაცემებით5548 ბენეფიციარია ანუ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 11,4%-ია, რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე 13%-ზე ნაკლებია.ეს მონაცემი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა და საბოლოო ჯამში შემცირებულია 765 ერთეულით.

დიაგრამა 2.4.3. სოციალურად დაუცველი ოჯახების და მაცხოვრებლების რაოდენობა




წყარო: სოციალური სააგენტო

ამ ეტაპზე სოციალურად დაუცველთა სამომავლო რაოდენობის განსაზღვრა ვერ ხერხდება, რადგანაც სოციალურად დაუცველთა სტატუსის მინიჭების განსაზღვრის მეთოდოლოგია იცვლება.

2.3 მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა და ეკონომიკა

საგზაო ინფრასტრუქტურა-სამტრედიის მუნიციპალიტეტის გზების საერთო სიგრძე 418,4 კმ-ია. ქალაქის გზების სიგრძე 127-კმ-ია, ხოლო სასოფლო ტიპის დასახლებების გზების სიგრძე 291 კმ-ია, ქალაქის გზებიდან მოწესრიგებულია 60 კმ, ხოლო სოფლის გზებიდან მოწესრიგებულია 35 კმ. მთლიანი საგზაო ინფრასტრუქტურის 23%-ია (95კმ.) მოწესრიგებული. მაგრამ ბოლო წლებში ინტენსიურად ხდება საგზაო ინფრასტრუქტური სწრაფი ტემპებით მოწესრიგება.

დიაგრამა 2.5.1. საქალაქო და სასოფლო გზების მდგომარეობა




წყარო: ინფრასტრუქტურის სამსახური

შენიშვნა: გზის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია საჭიროა სერვისების მიწოდების დაგეგმვის პროცესისათვის.

2017 წლისთვის დაიგეგმა 18,7 კმ გზის დაგება აქედან ქალაქის ტერიტორიაზე 11,8 კმ, ხოლო სოფლის ტერიტორიაზე 6, 8 კილომეტრი გზა, 2018 წელს დაგეგმილია სულ 23 კმ გზის დაგება.

დიაგრამა 2.5.2. მუნიციპალიტეტში არსებული მთლიანი გზების მდგომარეობა




წყარო: ინფრასტრუქტურის სამსახური

საბინაო ინფრასტრუქტურა-სამტრედიის მუნიციპალიტეტში ორი ურბანული დასახლებაა ქალაქი სამტრედია და დაბა კულაში. რაც შეეხება სახლების რაოდენობა სამწუხაროდ მუნიციპალიტეტში არ მოიპოვება ინფორმაცია კერძო სახლების რაოდენობის და მათი მდგომარეობის შესახებ.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მაღალსართულიანი ბინების რიცხვი 120 შეადგენს, აქედან 2 დაბა კულაშის ტერიტორიაზეა და 2 სოფელ დიდ ჯიხაიშში(დანართი 2). 116 ბინა ქალაქის ტერიტორიაზე მდებარეობს, რომლებიც ქალაქის ცენტრალური ნაწილშია განლაგებული სულ მაღალ სართულიან ბინებში ცხოვრობს 2926 ოჯახი 8371 სული. დანარჩენი მოსახლეობა კერძო სახლებში ცხოვრობს.

დიაგრამა 2.5.3. მაცხოვრებელთა რაოდენობა ბინების და კერძო სახლების მიხედვით



წყარო: ქალაქის ტერიტორიული ორგანო

კომუნალური ინფრასტრუქტურა (დენი, წყალი და ელ. ენერჯია)

წყალმომარაგება მუნიციპალიტეტში წყალმომარაგება ხორციელდება „როგორც ცენტრალური წყალგაყვანილობით, ასევე ხელოვნური ჰეობით. ქალაქის ტერიტორია წყალმომარაგებას უზრუნველყოფს შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“. მუნიციპალიტეტის სოფლები არ არის უზრუნველყოფილი ცენტრალიზებული წყალმომარაგებით. შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ სულ 7143 აბონენტი.

ბუნებრივი აირით მომარაგება. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბუნებრივი აირით უზრუნველყოფას ახდენს შპს „სოკარ ჯორჯია გაზი.“ ცენტრალური მაგისტრალით გაზიფიცირებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 100%. სამტრედიის მუნიციპალიტეტში პრაქტიკულად დასრულებულია ყველა დასახლებაში დაქსელვითი სამუშაოები. მუნიციპალიტეტში სულ 16 661 აბონენტი.

ელექტროენერჯია. მუნიციპალიტეტს ელექტროენერჯიით უზრუნველყოფს სს „ენერჯო პრო ჯორჯია“. მუნიციპალიტეტში სულ აღრიცხულია 20946 აბონენტი (ფიზიკური პირი). აქედან ქალაქის ტერიტორიაზე 10959 აბონენტი და სოფლის/დაბის ტერიტორიაზე 9987 აბონენტი. აღნიშნული კომპანია უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მომარაგებას 100%-ი.

აღნიშნული ინფორმაცია საჭირო არის ბიზნესის პროგრამის დანერგვისთვის.

ბიზნესი

სამტრედიის მუნიციპალიტეტში განვითარებულია როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოება და გადამამუშავება, ასევე არასასოფლო-სამეურნეო ბიზნესი. მრეწველობის დარგები სამტრედიის მუნიციპალიტეტში (მშენებლობა, სამთომოპოვებითი მრეწველობა, გადამამუშავებელი მრეწველობა) სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით მეტად განვითარებულია. სამტრედიის მუნიციპალიტეტი ერთგვარი სავაჭრო ცენტრია უახლოესი მუნიციპალიტეტებისათვის: აბაშა, ხონი, ვანი, სენაკი, ჩოხატაური, წყალტუბოს ნაწილი, ლანჩხუთი. ქალაქ სამტრედიაში განთავსებულ აგრარულ ბაზარში ხორციელდება ახლომდებარე მუნიციპალიტეტებში წარმოებული პროდუქციის რეალიზება. მართალია ვერ ხერხდება ბიზნეს დანიშნულებით ეგრეთწოდებულ „ბაზრობის დღეებში“ შემოსულ ადამიანთა რაოდენობის დადგენა, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ადამიანები წარმოქმნიან მუნიციპალურ ნარჩენებს სამტრედიის ტერიტორიაზე.

ტურიზმი

სამტრედიის მუნიციპალიტეტში ტურიზმი მნიშვნელოვან როლს ამ ეტაპზე არ ასრულებს. მუნიციპალიტეტში არ არის არც დაცული ტერიტორიები და არც ეროვნული მნიშვნელობის კულტურის ძეგლები; მუნიციპალიტეტში არის მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის ძეგლები. თუმცა მუნიციპალიტეტში არის დავით აღმაშენებლის საერთაშორისო აეროპორტი, სადაც მრავლად გადაადგილდებიან ტურისტები, რომელთაც აღნიშნულ ტერიტორიაზე ყოფნა რამოდენიმე საათით უწევთ და შემდეგ ნაწილდებიან სხვადასხვა ქალაქში (ტურისტები არ ხვდებიან ქალაქში). ასევე მუნიციპალიტეტში არის ბალნეოლოგიური კურორტი რომელიც ამ ეტაპზე არ ფუნქციონირებს.

სოფლის მეურნეობა


მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობა საკმაოდ განვითარებულია და ადგილობრივი მოსახლეობისათვის შემოსავლის ძირითადი წყაროს წარმოადგენს. მისი გეოგრაფიული მდებარეობა და კლიმატი იძლევა საშუალებას განვითარდეს სხვადასხვა დარგები, როგორცაა: მესიმინდობა, მეთხილეობა, მეთევზეობა, მესათბურეობა, მეცხოველეობა, მეფუტკრეობა და მეფრინველეობა. ცენტრალურ გზაგასაყარზე მდებარეობა მუნიციპალიტეტს ანიჭებს

მნიშვნელოვან უპირატესობას სხვადასხვა მიმართულების გადამამუშავებელი საწარმოების განვითარებისათვის. სულ მუნიციპალიტეტში აღრიცხულია 656 ფერმერული მეურნეობა. მთლიანი ფართობის (36 429 ჰა) 56% სასოფლო სამეურნეო სავარგულებს წარმოადგენს, საიდანაც სახელმწიფო საკუთრებაშია 15 778 ჰა, დანარჩენი ფართობი მოსახლეობის კერძო საკუთრებას წარმოადგენს. დანიშნულების მიხედვით მისი გამოყენება შემდეგნაირად ხდება: საძოვარი, 2 898 ჰა, სახნავი - 12 844, მრავალწლიანი კულტურები - 3 870 ჰა, სათბურების ქვეშა დატვირთული სავარგულების დაახლოებით 5% (700 მდე ჰა)

2.4 ნარჩენების რაოდენობა.


სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალური ნარჩენების ძირითადი წარმოქმნილი არის ადგილობრივი მოსახლეობა, იურიდიული პირები, სახელმწიფო ორგანიზაციები და აქრეთვე ქუჩებისა და სკვერების დაგვის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები. მუნიციპალიტეტში არსებობს კეთილმოწყობილი ნაგავსაყრელი, რომელიც განთავსებულია სოფელ დაფნარაში. ნაგავსაყრელზე 2016 წელს განთავსდა ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება“-ს, მიერ შეგროვებული 7882 ათასი ტონა ნარჩენი. მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების სრული რაოდენობის შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება, რადგან ანარჩენის მოგროვება მომსახურე ორგანიზაციის მიერ ხდება, ქალაქის მოსახლეობის მიახლოებით 65 პროცენტზე გაწეული მომსახურეობის, სოფლის მოსახლეობის მიახლოებით 10 პროცენტზე გაწეული მომსახურეობისა და ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედ 668 კომერციულ და სახელმწიფო ორგანიზაციაზე გაწეული მომსახურეობის შედეგად. აქვე უნდა აღინიშნოს რომ მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი ნარჩენებს იშორებს სხვადასხვა გზით. მათ შორის სამი ძირითადი გზით: 1. მიაქვთ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ ბუნკერებში 2. მარხავენ საკუთარ ეზოებში 3. მიაქვთ არალეგალურ ნაგავსაყრელებზე. ამიტომ ძნელია განსაზღვრა მოსახლეობის რა რაოდენობა რა მოცულობის ნარჩენებს განთავსებს მომსახურე ორგანიზაციის საკუთრებაში არსებულ ბუნკერებში და მოსახლეობის რა რაოდენობა, რა მოცულობის ნარჩენებს იცილებს სხვა გზით.

დიაგრამა 2.6.1. შეგროვებული ნარჩენები წლების მიხედვით (ათასი ტონა)



შენიშვნა: 2017 წლის მონაცემები 01 დეკემბრის მდგომარეობით

დიაგრამა 2.6.2. მოსახლეობის და იურიდიული პირების წილი შეგროვებულ ნარჩენების რაოდენობაში




შენიშვნა 1: შეგროვებულ ნარჩენებში შედის გარკვეული რაოდენობის სამშენებლო ნარჩენები(ურნებში მოხვედრილი).

შენიშვნა 2: იურიდიულ პირების მიერ წარმოქმნილი ნარჩენები მოსაკრებლის დარიცხვის მიხედვით არის 17 321 კგ/მ. რაც გავამრავლეთ 120 (1 კგ/მ ნარჩენის საშუალო წონა) და მივიღეთ 2075 ტ.

2.5 2016 წელს შეგროვებული მუნიციპალური ნარჩენების სტრუქტურა

მუნიციპალიტეტში საეთოდ არ არსებობს ნარჩენების სეპარირებული შეგროვების პრაქტიკა, მოსახლეობა არ ახდენს ნარჩენების განცალკევებას მათ მიერ წამოქმნილი ყველა ნარჩენი დახარისხების გარეშე ხდება ბუნკერებში, ბუნკერების რაოდენობაც არასაკმარისია, არ არსებობს ბუნკერთა ერთობლიობა რომელიც საშუალებას მიცემს ნარჩენების წარმოქმნელებს სეპარირებულადაც მოათავსონ შესაბამისი ნარჩენები შესაბამის ბუნკერებში, რის გამოც მოსახლეობის თუ კომერციული ორგანიზაციების მიერ წარმოქმნილი ნარჩენები საბოლოოდ ხვდება ერთ ბუნკერში, აქედან გამომდინარე მიახლოებითია რეციკლირებადი ნარჩენების კომპონენტების რაოდენობა.

დიაგრამა 2.7.1. წარმოქმნილი ნარჩენების სტრუქტურა



წყარო: ა.ი.ი.პ „კომუნალური გაერთიანება“ და სამუშაო ჯგუფის მიერ ჩატარებული საპილოტე პროგრამის მიხედვით

შენიშვნა: სახიფათო ნარჩენების შესახებ ინფორმაცია არ გაგვაჩნია.

საქართველოსა და უცხო ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით სავარაუდო არის რომ ნარჩენების დაახლოებით ნახევარი ბიოდეგრადირებადი ნარჩენებია. მინა და ლითონი გვხვდება უმნიშვნელო რაოდენობით, ხოლო მულაოს და პლასტმასის ხვედრითი წილი შეიძლება განისაზღვრებოდეს 10-10 %-ით.

2.6 ბიოდეგრადირებადი ნარჩენები

ბიოდეგრადირებადი ნარჩენები, როგორცაა სამზარეულოს ნარჩენები, საკვებისა და ბაღის ნარჩენები წარმოადგენს საყოფაცხოვრებო ნარჩენების მთავარ შემადგენელ ნაწილს (ხშირად 45 %-ზე მეტია). საყოფაცხოვრებო ნარჩენებში ბიოდეგრადირებადი ნარჩენების რაოდენობის შესახებ ზუსტი ინფორმაცია არ არის. ჩვენი მუნიციპალიტეტის სასოფლო დასახლებებში ბიოდეგრადირებადი ნარჩენები მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც გამოიყენება შინაური ცხოველების საკვებად, ან კომპოსირებისათვის. რაც შეეხება პარკებიდან და სკვერებიდან ამოღებულ ნარჩენებს, ამჟამად ხდება მათი შეგროვება და ნაგავსაღრელებზე განთავსება.

2.7 ინერტული ნარჩენები

მუნიციპალიტეტში არ არსებობს ინერტული (სამშენებლო) ნარჩენებისთვის გამოყოფილი ადგილი სადაც მოხდება მათი განთავსება, მოსახლეობა ინერტულ ნარჩენებს აპრობირებული მეთოდით განკარგავს ისევე როგორც სხვა შემთხვევაში სტიქიურ ნაგავსაყრელებზე, საკუთარ ეზოებში დამარხვა (სასოფლო ტიპის დასახლებებში) ნაწილი კი ხვდება ბუნკერებში.

2.8 სახიფათო ნარჩენები

სახიფათო ნარჩენების მართვა მუნიციპალიტეტის კომპეტენციას არ განეუთვნება მაგრამ ამ პრობლემასთან ურთიერთობა მაინც ხდება. მოსახლეობაში თუ ნაწილობრივ იურიდიულ პირებთან წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენები(საავტომობილო ზეთები, შპრიცები, ელემენტები გამომწვარი აკუმულატორები და ა.შ) ხდება ბუნკერებში ერევა სხვა ნარჩენებს და ხვდება სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე.

აღნიშნულ პრაქტიკაში არსებობს გამოწვევები, განსაკუთრებით მაშინ თუ საუბარია მეტალის შემცველ ნაწილებზე, რომლებსაც კერძო პირები განცალკევებით აგროვებენ, თუმცა გაურკვეველია შემდეგ სად მიდის ეს ნარჩენები. სავარაუდოდ ხდება მათი ხელახალი გამოყენება.

რაც შეეხება მკვდარ ცხოველებს, მათი განთავსება ხდება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, რადგან დღეისათვის არ არსებობს სხვა გამოსავალი ან ალტერნატივა.

როგორც წესი, სამედიცინო ნარჩენების შეგროვება სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებიდან ხორციელდება სპეციალური კომპანიების მიერ. მიუხედავად ამისა სამედიცინო დანიშნულების ზოგიერთი ნივთი მაინც ერევა საყოფაცხოვრებო ნარჩენებში და შესაბამისად ხვდება საერთო კონტეინერებში და შემდეგ მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე.

სახიფათო ნარჩენები მუნიციპალიტეტში სავარაუდოდ საკმაო რაოდენობით უნდა იყოს, თუმცა ზუსტი სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს.


2.9 მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სისტემები და საშუალებები

ნარჩენების შეგროვებასა და გატანას უზრუნველყოფს ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება“, რომელიც დღეს არსებული მდგომარეობით ემსახურება სამტრედიის მუნიციპალიტეტის ქალაქის მოსახლეობის 65% და სოფლის მოსახლეობის 10 %. ანარჩენების მართვასთან დაკავშირებით ააიპ „სამტრედიის კომუნალური გაერთიანება“ გამოიყენებს შეგროვების შემდეგ სისტემებს;

კონტეინერული - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია სულ 1,1 მ/კბ 263 კონტეინერი ნარჩენების შესაგროვებლად. მოსახლეობას, სახელმწიფო და კომერციულ ორგანიზაციებს საშუალება ეძლევათ თავად განათავსონ ნარჩენები კონტეინერებში. კონტეინერების დაცლა ხდება ყოველდღიურად სპეციალური სატრანსპორტო საშუალებებით.

ზარის სისტემა -რომელიც გამოიყენება მოსახლეობიდან ეზო-ეზო ნაგავმზიდი მანქანებით საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანისათვის.

ქუჩების დასუფთავება -მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამჟამად ააიპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება“-ს მიერ იგეგმა დახლოებით 83 000 კვ/მ ფართობი, რომლის დაგვაც ხორციელდება ყოველდღიურად 23 მეუბოვეს მიერ. დაგვა ხორციელდება ქალაქის 21 სხვადასხვა უბანში, მათ შორის მთლიანად არის მოცული ქალაქის ცენტრალური ნაწილი, სკვერები, პარკები და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები.



მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირებისათვის გამოიყენება შემდეგი ტექნიკური აღჭურვილობა:

- კონტეინერები 1,1 მ³ მოცულობის - 263


ცხრილი 2.11.1 ურნების განთავსება ადგილმდებარეობის მიხედვით

ურნების განთავსების ადგილი	ურნების რაოდენობა
არგო ბაზარი	3
ბაგრატიონის ქ	4
ჭანტურიას ქ	2
შპს ოკეანე-ბაზარი	2
ეგრისის ქ	3
გამსახურდიას ქ	5
თბილისის ქ	4
წერეთლის ქ	10
ელიავას ქ	2
ძმები ნინუების ქუჩა	1
ბარათაშვილის ქ	3
ფარნავაზის ქ	5
სოხუმის ქ	4
ბახტაძის ქ	4
ძმ.გოგიების ქ	3
თავაძის ქ	3
სანავარდოს ქ	2
რობაქიძის ქ	9
ფანჯიკიძის ქ	4

ლ.თევზაძის ქ	13
კალაძის ქ(ორჭადრები)	3
რუსთაველის ქ	12
გ.გეგეშიძის ქუჩა	3
ჯავახიშვილის ქ	1
მანჯგალაძის ქ	1
თელიას ქ	1
არაყიშვილის ქ	1
ნინოშვილის ქ	1
დიდგორის ქ	3
რაზმაძის ქ	2
კოსტავას ქ	10
თამარ მეფის ქ	14
კოპალეიშვილის ქ	1
ნიკოლეიშვილის ქ	1
ჭავჭავაძის ქ	12
რესპუბლიკის ქ	14
რიონის ქ	3
შევჩენკოს ქ	1
9 აპრილის ქ	1
ნინოშვილის უბანი	9
კულაში	16
აღმაშენებლის გამზირი გზაგამტარი ხიდიდან სანავარდომდე	11
რკინიგზელთა დასახლება	8
აღმაშენებლის გამზირი გზაგამტარი ხიდიდან ახალსოფლამდე	8
ახალსოფელი	3
იანეთის გაჩერებიდან ჯიხაიშის ცენტრამდე	19
ნაბაკევი-ხუნჯულაური, წერეთლის ქუჩამდე	18
სულ ჯამი	263

წყარო: ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება“.

სურათი 2.11.1. მომსახურების არეალი



წყარო: ფოტო აღებულია საძიებო პროგრამა google-დან

შენიშვნა; შავი ფერით მონიშნულია, კოლექტიური სისტემით მომსახურების არეალი. ყვითელი ფერით მონიშნულია, ზარის სისტემით მომსახურების არეალი.

ცხრილი 2.11.2 ნარჩენების მომსახურების სფეროში ჩართული სატრანსპორტო საშუალებები

რომელი წლიდან ემსახურება მუნიციპალიტეტს	ავტომ. დასახელება	გამოშვების წელი	ავტომანქანის მოცულობა (კბ/მ)	ავტომანქანის მდგომარეობა
2011 წ	MAN24-232 OLC-885	1991	24	სარემონტო
	MAN18-232 OLC-886	1993	18	სარემონტო
	ფორდ ტრანზიტი 981	1999	4	მუშა მდგომარეობაში
2013 წ	ფორდ კარგო LBL-619	2012	13	მუშა მდგომარეობაში
2017 წ	მერსედესი 1824	2016	13	ახალი
	მერსედესი 1018	2016	7	ახალი
	მერსედესი 1018	2016	7	ახალი

წყარო: ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება“.

ცხრილი 2.11.3. ადამიანური რესურსები ნარჩენების მომსახურების სფეროში

პერსონალის სახეობა	ადმინისტრაცია/ ზედამხედველობა	შეგროვება და ტრანსპორტირება	ქუჩების დასუფთავება
ადმინისტრატორი	1		
ინჟინერი	1		
ზედამხედველი	3		
მძღოლი		6	
შეგროვების მომს. მუშახელი	1	15	
ქუჩების დასუფთავების მუშახელი			23
სულ	5	21	23

წყარო: ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება“,

2.10 ნარჩენების დამუშავება და აღდგენა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ააიპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება“-ს მიერ შეგროვებული ნარჩენების საერთო რაოდენობიდან არ ხდება რეციკლირებადი ნარჩენების გამოყოფა, აღდგენა და დამუშავება, რისი მიზეზებიც არის ნარჩენების წარმოქმნის წყაროსთან სეპარირებული შეგროვების და რეციკლირების და აღდგენის ობიექტების არარსებობა. სავარაუდოდ მეორადი გამოყენება ხდება მხოლოდ ლითონის შემცველი ანარჩენის, რომელსაც მოსახლეობა არ ანთავსებს საერთო ბუნკერში და ინდივიდუალურად ახდენს მის რეალიზაციას კერძო ჩაბარებულ პუნქტებში.

2.11 მუნიციპალური ნაგავსაყრელი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ააიპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება“-ს მიერ შეგროვებული ნარჩენი საბოლოოდ თავსდება სოფელ დაფნარში მდებარე ნაგავსაყრელზე. 2014 წლიდან ნაგავსაყრელი გადაეცაშ.პ.ს. „მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“-ს, რის შემდეგაც აღნიშნული ნაგავსაყრელი კეთილმოეწყო დაგანახლდა. რომლითაც აგრეთვე სარგებლობს სხვა მეზობელი მუნიციპალიტეტები.

ქუთაისის რეგიონული ნაგავსაყრელის გახსნის შემდეგ აღნიშნული ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე მოეწეობა გადამტვირთი სადგური, რომელსაც ოპერირებას გაუწევს შ.პ.ს. „მყარი ნარჩენების კომპანია“.

2.12 სტიქიური ნაგავსაყრელები

მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის მომსახურების გეოგრაფიული სიმცირიდან გამომდინარე პრობლემას წარმოადგენს სტიქიური ნაგავსაყრელები. სულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაფიქსირებულია 20 არალეგალური ნაგავსაყრელი. აქედან სოფლების ტერიტორიაზეა სულ 11 კერა და 9 არალეგალური ნაგავსაყრელი ქალაქის ტერიტორიაზე. (დანართი 3)

სურათი 2.14.1. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სტიქიური ნაგავსაყრელი



2.13 ხარჯები

ქუჩების დასუფთავება, ნარჩენების შეგროვება სახლებიდან, საჯარო დაწესებულებებიდან და ბაზრებიდან, აგრეთვე ნარჩენების საბოლოო განთავსება, არ არის უფასო მომსახურება, აღნიშნული მომსახურება უნდა მოხდეს „დამბინძურებელი იხდის“ პრინციპით რომლის თანახმად, ნარჩენების წარმომქმნელი იხდის შეგროვებისა და განთავსების ხარჯებს, თუმცა ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტის მოსახლეობაზე არ არის დაკისრებული მოსაკრებლის გადასახადი. ოჯახებში წარმოქმნილ ნარჩენებს აგროვებს მუნიციპალიტეტი, ხოლო „ნარჩენების მოსაკრებელს“ არეგულირებს კანონმდებლობა.

დღესდღეობით, კომპანიებიდან ამოღებული მოსაკრებელი ვერ ფარავს გაწეულ მომსახურების ხარჯებს, ნაწილობრივ იმიტომ რომ მოსაკრებლის ამოღება სრულად ვერ ხორციელდება. გარდა ამისა დღეს არსებული სისტემა არ ითვალისწინებს ხარჯების მოსალოდნელ ზრდას რაც რეგიონალური ნაგავსაყრელების ახალი სისტემის დანერგვასთან არის დაკავშირებული. უფრო მეტიც დღევანდელი სისტემა არ ითვალისწინებს ხარჯების დაზოგვას რაც შესაძლებელია ნარჩენების ნაგავსაყრელზე განთავსებისაგან თავის არიდებას. ამის მიზეზი მარტივად არის ის, რომ დღეს ნარჩენების მთელი რაოდენობა თავსდება ნაგავსაყრელებზე, უფრო სწორედ „იყრება“ სათანადო დაცვის არმქონე ადგილებში. დღეს ეს შეიძლება „უფასო“ ჩანდეს, ვინაიდან გათვალისწინებული არ არის სამომავლო ხარჯები, რაც დაკავშირებულია ტერიტორიის დასუფთავებასთან და გარემოსთვის მიყენებული ზიანის შემცირებასთან.

მუნიციპალიტეტში ნარჩენების მიმართულებით წლიურად საშუალოდ 302 233 ლარი გამოიყოფა, მთლიანი დაგეგმილი ბიუჯეტის 2,15 %,

ცხრილი 2.15.1. ნარჩენების მართვის მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები

ხარჯები	2015		2016		2017
	ბიუჯეტით განსაზღვრული	ფაქტობრივი	ბიუჯეტით განსაზღვრული	ფაქტობრივი	ბიუჯეტით განსაზღვრული
ხელფასები	202 600	202 600	218 000	218 000	239 700
ბილინგი	0	0	0	0	0
მასალები და მარაგები	63 000	61 600	61 700	55 700	90 500
რემონტი	6 500	6 000	12 000	10 900	37 200
მცირე ფასიანი	3 000	2 900	5 500	5 300	2 700
დეზინფექცია	0	0	1 500	1 500	0
სხვა ხარჯები	1 000	700	1 000	500	900
სულ: ნარჩენების მართვისათვის	<u>276 100</u>	<u>273 800</u>	<u>299 700</u>	<u>291 900</u>	<u>371 000</u>
მთლიანი მუნიციპალური ბიუჯეტი	14 765 200	13 964 300	14 870 700	13 772 900	14 372 500
მთლიანი მუნიციპალური ხარჯების %	1,96 %		2,12 %		2,58 %

ცხრილი 2.15.2. ცვეთის მაჩვენებლები წლების მიხედვით

დასახელება	ცვეთა 2015	ცვეთა 2016	ცვეთა 2017
ნაგავმზიდი	2464	2464	2464
ნაგავმზიდი	2464	2464	2464
ნაგავმზიდი	5080	0	0
ნაგავმზიდი	17920	17920	17920
ნაგავმზიდი ახალი	0	20747	20747
ნაგავმზიდი ახალი	0	21520	21520
ნაგავმზიდი ახალი	0	27985	27985
სულ წლიურად ტრანსპორტის ცვეთა	<u>27 928</u>	<u>93 100</u>	<u>93 100</u>
დასახელება	ცვეთა 2015	ცვეთა 2016	ცვეთა 2017
კონტეინერი პლასტმასის 1,1კმ	3862	3862	3862
კონტეინერი პლასტმასის 1,1კმ	1091	1091	1091

კონტეინერი მეტალის 1,1კმ(ძველი შექმნილი)	0	1600	1600
კონტეინერი მეტალის 1,1კმ(ძველი####შექმენ.	9383	9383	9383
კონტეინერი მეტალის 1,1კმ(ახალი####შექმენ.	0	0	8000
კონტეინერი პლასტმასისპატარაძველი შექმნილი)	800	800	800
<u>სულ წლიურად კონტეინერების ცვეთა</u>	15 136	16 736	24 736
<u>ჯამურათ ცვეთა(ტრასპორტი და კონტეინერები)</u>	43 064	109836	117 836

დანახარჯი ერთ სულ მოსახლეზე 2015-2017 წლებში

ცხრილი 2.15.3.

2015 წელი	
ხარჯი	316 864
შეგროვებული ნარჩენების რაოდ . ტონა	7762
1 ტონა ნარჩენის მომსახურების ღირებულება	40,82
საყოფაცხოვრებო ნარჩენების მომსახურებაზე დახარჯული თანხა	225 367,22 ლ
ქალაქის მოსახლეობის რაოდენობა რომლებზეც ხდება მომსახურების გაწევა	13 650
მომსახურების მთლიანი ხარჯი ქალაქის იმ მოსახლეობისთვის რომელთაც მიეწოდება მომსახურება	162 700 ,36 ლ
წლიური ხარჯი ქალაქის მოსახლეობის მიხედვით, რომლებსაც მიეწოდება მომსახურება1 სულ მოსახლეზე	11,92 ლ
დაბისა და სოფლის მოსახლეობის რაოდენობა რომლებზეც ხდება მომსახურების გაწევა	1 400
მომსახურების მთლიანი ხარჯი დაბისა და სოფლის იმ მოსახლეობისთვის რომელთაც მიეწოდება მომსახურება	8 343,6 ლ
წლიური ხარჯი სოფლის და დაბის მოსახლეობის მიხედვით, მომსახურება1 სულ მოსახლეზე	5,96 ლ
საშუალო წლიური ხარჯი იმ პირების მიხედვით, რომლებსაც მიეწოდება მომსახურება1 სულ მოსახლეზე	11,37 ლ

წლიური კომერციულ ნარჩენების მომსახურებაზე დახარჯული თანხა	84 048,38
წლიური ქუჩებსა და სკვერების მომსახურებაზე დახარჯული თანხა	7429,24
2016 წელი	
ხარჯი	401 736
შეგროვებული ნარჩენების რაოდ . ტონა	7882
1 ტონა ნარჩენის მომსახურების ღირებულება	50,96
საყოფაცხოვრებო ნარჩენების მომსახურებაზე დახარჯული თანხა	286 446
ქალაქის მოსახლეობის რაოდენობა რომლებზეც ხდება მომსახურების გაწევა	13650
მომსახურების მთლიანი ხარჯი ქალაქის იმ მოსახლეობისთვის რომელთაც მიეწოდება მომსახურება	203 116,36
წლიური ხარჯი ქალაქის მოსახლეობის მიხედვით, რომლებსაც მიეწოდება მომსახურება ¹ სულ მოსახლეზე	14,88 ლ
დაბისა და სოფლის მოსახლეობის რაოდენობა რომლებზეც ხდება მომსახურების გაწევა	1400
მომსახურების მთლიანი ხარჯი დაბისა და სოფლის იმ მოსახლეობისთვის რომელთაც მიეწოდება მომსახურება	10 416,22 ლ
წლიური ხარჯი სოფლის და დაბის მოსახლეობის მიხედვით, მომსახურება ¹ სულ მოსახლეზე	7,44
საშუალო წლიური ხარჯი იმ პირების მიხედვით, რომლებსაც მიეწოდება მომსახურება ¹ სულ მოსახლეზე	14,19 ლ
წლიური კომერციულ ნარჩენების მომსახურებაზე დახარჯული თანხა	105 945,84
წლიური ქუჩებსა და სკვერების მომსახურებაზე დახარჯული თანხა	9274,72
2017 წელი	
ხარჯი	488 836
შეგროვებული ნარჩენების რაოდ . ტონა	8002 (სავარაუდო)
1 ტონა ნარჩენის მომსახურების ღირებულება	61,09
საყოფაცხოვრებო ნარჩენების მომსახურებაზე დახარჯული თანხა	349495,89
ქალაქის მოსახლეობის რაოდენობა რომლებზეც ხდება მომსახურების გაწევა	19 500
მომსახურების მთლიანი ხარჯი ქალაქის იმ მოსახლეობისთვის რომელთაც მიეწოდება მომსახურება	347846 ლ
წლიური ხარჯი ქალაქის მოსახლეობის მიხედვით, რომლებსაც მიეწოდება მომსახურება ¹ სულ მოსახლეზე	17,83 ლ
დაბისა და სოფლის მოსახლეობის რაოდენობა რომლებზეც ხდება მომსახურების გაწევა	2 200
მომსახურების მთლიანი ხარჯი დაბისა და სოფლის იმ მოსახლეობისთვის რომელთაც მიეწოდება მომსახურება	19 622 ლ
წლიური ხარჯი სოფლის და დაბის	8,92 ლ

მოსახლეობის მიხედვით, მომსახურება1 სულ მოსახლეზე	
საშუალო წლიური ხარჯი იმ პირების მიხედვით, რომლებსაც მიეწოდება მომსახურება1 სულ მოსახლეზე	16,93 ლ
წლიური კომერციულ ნარჩენების მომსახურებაზე დახარჯული თანხა	118 257,66
წლიური ქუჩებსა და სკვერების მომსახურებაზე დახარჯული თანხა	10 253,88

2.14 დასუფთავების მოსაკრებელი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებასა და გადახდას არეგულირებს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 17 აგვისტოს N17 დადგენილება „ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიების დასუფთავებისათვის“. აღნიშნული დადგენილება აწესრიგებს მოსაკრებლის გაანგარიშებისა და გადახდის წესებს. იურიდიულ პირებისა და ორგანიზაცია-დაწესებულებების ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირებას ახორციელებს ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება“, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე აწარმოებს შესაბამის მომსახურებას.


აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად მოსაკრებლის გადამხდელები არიან სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ის იურიდიული პირები და ორგანიზაცია-დაწესებულებები, რომლებიც წარმოქმნიან ნარჩენებს.

მოსაკრებლის ოდენობა გადამხდელებისათვის შეადგენს 10 ლარს ნარჩენების ყოველ 1 მ³-ზე. ხოლო საყოფაცხოვრებ ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირება, ამ ნარჩენების განთავსების, ასევე ქუჩების დაგვა-დასუფთავების ხარჯები იფარება სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

მოსაკრებლის ადმინისტრირებას ახორციელებს სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესყიდვებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილება.


მოსაკრებლის გადამხდელად 2017 წლის აგვისტოს თვის მდგომარეობით დარეგისტრირებულია 668 სუბიექტი.

დიაგრამა 2.16.1. გადამხდელთა რაოდენობა




წყარო: საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

დიაგრამა 2.16.2. გადამხდელზე დარიცხული მოსაკრებლის რაოდენობა



წყარო: საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

დიაგრამა 2.16.3 შემოსულობები 2012-2016 წწ.



წყარო: საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

შენიშვნა: 2014 წლიდან შეინიშნება მოსაკრებლების შემოსულობების კლება, რისი ერთ-ერთი მიზეზიც არის საჯარიმო სანქციების გაუქმება არგადამხდელის მიმართ.

2.15 ნარჩენების მართვის სისტემის SWOT ანალიზი

სამტრედიის მუნიციპალიტეტში არსებული სამუშაო ჯგუფის მიერ მოხდა ნარჩენებისმართვის არსებული სისტემის შეფასება.გამოვლენილი იქნა ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები(SWOT ანალიზი).

ცხრილი 2.17.1 მუნიციპალიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეები

<p>ძლიერი მხარეები ;</p> <ul style="list-style-type: none"> - ნარჩენების შეგროვების და გატანის არსებული კოლექტიური შეგროვების სისტემაში დაგროვილი გამოცდილება. - სპეცტექნიკის საკმაო რაოდენობა. (მთისზონისათვის საჭირო სპეცტექნიკის გარდა) - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თანამედროვე სტანდარტების მქონე ნაგავსაყრელის არსებობა და პერსპექტივაში აღნიშნულ ტერიტორიაზე გადამტვირთი სადგურის გახსნა. 	<p>სუსტი მხარეები ;</p> <ul style="list-style-type: none"> - ნარჩენების მომსახურეობისათვის არასაკმარისი ფინანსები. - მოსახლეობისათვის მოსაკრებლის არ არსებობა. - ნარჩენების მომსახურეობის მიწოდების არასრული არეალი. - ნარჩენების მომსახურეობაში ჩართული სამუშაო ძალის ნაკლებობა. - შეგროვების არსებული სისტემისათვის საჭირო კონტეინერების არასაკმარისი რაოდენობა. - მთიანო ზონის სოფლებისათვის ადაპტირებული სპეცტექნიკის არ არსებობა. - არალეგალური ნაგავსაყრელების არსებობა - ინერტული ნარჩენების განთავსების ადგილის არ არსებობა. - ცხოველური ნარჩენების განთავსების პრობლემა. - შეგროვებული (სკვერების, ქუჩებისა და პარკების) ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირების არარსებობა. - საჯარო ცნობიერების ნაკლებობა.
<p>შესაძლებლობები:</p> <p>სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის არსებული რესურსით; PR სამსახურის, საინფორმაციო ცენტრის, გაზეთის, ადგილობრივი ტელევიზიის</p>	<p>საფრთხეები:</p> <p>მოსაკრებლის არაკეთილსინდისიერ გადამხდელთა მიმართ საჯარიმო სანქციების არ არსებობა.</p>

და სხვადასხვა ააიპ სამსახურების მიერ საზოგადოებაში ცნოეიერების ამაღლება.

2.16 საჯარო ცნობიერება და საზოგადოების ჩართულობა.

სამტრედიის მუნიციპალიტეტში პერიოდულად ეწყობა სხვადასხვა სახის დასუფთავების აქციები, რომლებშიც მონაწილეობას იღებს საჯარო სექტორში დასაქმებული მოხელეები, მუნიციპალური ააიპ-ები, სკოლები, არასამთავრობო ორგანიზაციები და მოსახლეობა.

სურათი 2.19.1. დასუფთავების აქციები სამტრედიის მუნიციპალიტეტში



შენიშვნა: გამოყენებულია სამტრედიის მუნიციპალიტეტის ოფიციალური facebook გვერდის ფოტოები.

ნარჩენების მართვის სფეროში საზოგადოების ცნობიერების ამაღლება უმნიშვნელოვანესეტაპს წარმოადგენს მოსახლეობაში ნარჩენების პრევენციის და აღმოფხვრის ასევე სეპარირებული შეგროვების თვალსაზრისით. როგორც დღევანდელი მდგომარეობა გვიჩვენებს, ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები არასაკმარისია, რადგან არ გააჩნია მასშტაბური ხასიათი.

სამუშაო ჯგუფის ორგანიზებით მუნიციპალიტეტის სამ დასახლებაში საცდელათ დაიდგა 12 ბუნკერი. თითო ობიექტზე 4 ბუნკერი სეპარირებული შეგროვებისთვის(შერეული ნარჩენები, ქალაქი/მუყაო, პლასტმასი, მინა)შერჩეულ იქნა ისეთი ადგილები სადაც ადგილობრივი მცხოვრების გარდა ვერ შეძლებდა აღნიშნულ ბუნკერით სარგებლობას.

შერჩეული ადგილები იყო:

1. ქალაქის ტერიტორიაზე ბინის ტიპის დასახლება.
2. ქალაქის ტერიტორიაზე კერძო ტიპის დასახლება
3. სოფლის დასახლება.


წინასწარ მოხდა მცხოვრებლების ინფორმირება აღნიშნულის შესახებ და შეხვედრები ექსპერიმენტი დაიწყო 5 აპრილს და გაგრძელდა 15 აპრილის ჩათვლით. ნარჩენების მომსახურება ხდებოდა ყოველ დღე რამდენიმე დღის განმავლობაში, მოსახლეობა არ ათავსებდა ნარჩენს; ხოლო ბოლო 7 დღის განმავლობაში დაიწყო მოთავსება. მოსახლეობის დიდი ნაწილი არ ახარისხებდა ნარჩენს. შესაბამისად ეს ექსპერიმენტი მიზნად ისახავდა მიახლოებით დადგენილიყო:

- 1) მუნიციპალიტეტის მასშტაბით ერთ სულ მოსახლეზე დღეში ნარჩენების რაოდენობა
- 2) სეპარირებადი ნარჩენების რაოდენობა(შერეული ნარჩენი, ქალაქი, პლასტიკი და მინა)
- 3) ქალაქის/სოფლის ტერიტორიაზე ერთ სულ მოსახლეზე დღეში ნარჩენების რაოდენობა ასევე სეპარირებადი ნარჩენების რაოდენობა(შერეული ნარჩენი, ქალაქი, პლასტიკი და მინა)
- 4) საერთო(საბინაო) საცხოვრებლის მაცხოვრებელთა მიერ ერთ სულ მოსახლეზე დღეში ნარჩენების რაოდენობა ასევე სეპარირებადი ნარჩენების რაოდენობა(შერეული ნარჩენი, ქალაქი, პლასტიკი და მინა)
- 5) საქალაქო დასახლებაში კერძო სახლებში მაცხოვრებელთა მიერ ერთ სულ მოსახლეზე დღეში ნარჩენების რაოდენობა ასევე სეპარირებადი ნარჩენების რაოდენობა(შერეული ნარჩენი, ქალაქი, პლასტიკი და მინა)
- 6)


მოსახლეობის ცნობიერება ნარჩენებთან დაკავშირებით

საპილოტე პროექტის განხორციელების ფარგლებში წინასწარ მოხდა ინფორმირება. მოეწყო შეხვედრები, კარდაკარ დარიგდა შესაბამისი ბულკეტები და ჩატარდა გამოკითხვა.


დიაგრამა 2.19.1. გამოკითხვის შედეგები



დიაგრამა 2.19.2. გამოკითხვის შედეგები




დიაგრამა 2.19.3. ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგი



სამწუხაროდ რეალური შედეგები რადიკალურად განსხვავდებოდა გამოკითხის შედეგებისაგან. მოსახლეობის დიდმა ნაწილმა საერთოდ არ განახორციელა სეპარირებული შეგროვება ნარჩენებს შეურევლად ათავსებდნენ ბუკნერებში, ნაწილი მოსახლეობისა სასოფლო დასახლებაში საერთოდ არ ანთავსებდა ბუნკერში.

დიაგრამა 2.19.4 ნარჩენების პროცენტული გადაწილება დახარისხების შემდეგ



საქალაქო კერძო დასახლებაში ვერ მოხდა რეალური რაოდენობის განსაზღვრა, რადგანაც აღნიშნული ბუნკერებით ისარგებლა სხვადასხვა დასახლების მაცხოვრებლებმა.

სოფლის ტიპის დასახლებაში აღნიშნულ ბუნკერში ერთი კვირის განმავლობაში სულ შეგროვდა 10 კგ ნარჩენი, მოსახლეობა არ ანთავსებდა ბუნკერში ნარჩენებს.

2.17 მუნიციპალური ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის პრობლემების იდენტიფიკაცია

სამტრედიის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის სფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიკაციისათვის სამუშაო ჯგუფის მიერ მოხდა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებისა და ნარჩენების მომსახურების სფეროში ჩართული ორგანიზაციის მიერ გამოთქმული, ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ მოსაზრებების გაანალიზება, რის შედეგადაც, ინდეფიცირებული იქნა 10-ზე მეტი სხვა და სხვა პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია ნარჩენების მართვის სისტემასთან. პრობლემების პრიორიტეტულობის დასადგენად სამუშაო ჯგუფის მიერ გამოყენებულ იქნა 5 ბალიანი შეფასების სისტემა.

ცხრილი 2.18.1. პრობლემების შეფასება პრიორიტეტულობის მიხედვით

პრობლემის დასახელება	პრობლემის შეფასების პრიორიტეტულობის მიხედვით 5 ბალიანი სისტემით				
	5	4	3	2	1
არასაკმარისი ფინანსური რესურსი	X				
კონტეინერების არასაკმარისი რაოდენობა	X				
მოსახლეობის დაბალი თვითშეგნება	X				
ინერტული ნარჩენების განთავსების ადგლის არ არსებობა		X			
ნარჩენების შეგროვება და გატანის მომსახურებაში ცართული მუშახელის ნაკლებობა		X			
ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურებით არ არის მოცული მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორია		X			
მოსახლეობისათვის მოსაკრებლის არ არსებობა		X			
ნარჩენებით გარემოს დაბინძურებისათვის სანქციების არგამოყენება		X			

არასანქცირებული სტიქიური ნაგავსაყრელები			X		
ნარჩენების სეპარირების არარსებობა				X	
ნარჩენების კომპოსტირების არარსებობა				X	
ცხოველური ნარჩენების განთავსების პრობლემა					X


ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული პრობლემების რანჟირება.

ამდენად, ყველაზე პრიორიტეტულ პრობლემებს წარმოადგენს:


- ნარჩენების მართვისათვის არასაკმარისი ფინანსური რესურსი.
- ნარჩენების შეგროვებისათვის კონტეინერების არასაკმარისი რაოდენობა.
- მოსახლეობის დაბალი თვითშეგნება, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს გარემოს ნარჩენებით დაბინძურებას.
- ნარჩენების დახარისხებული შეგროვების (სეპარირების) სისტემების არარსებობა.
- არასანქცირებული სტიქიური ნაგავსაყრელები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

3. საპროგნოზო მაჩვენებლები (დაგეგმარება)


